დამტკიცებულია: 13.03.2025 წელი

ბაფის გამგეობის სხდომა (ოქმი# 2)

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

2024 წლის საქმიანობის ანგარიში

1. ორგანიზაციული და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. ბაფი შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.

ბაფის მისია

ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული პრაქტიკის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება, ხარისხიანი და პროფესიული პასუხის-მგებლობით მიდგომები აღრიცხვის, ფინანსური ანალიზის, აუდიტისა და მასთან დაკავშირ-ებული სფეროების მიმართ, რათა ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ბაფის წევრები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაფის წევრია 5470 ფიზიკური პირი და 52 აუდიტორული კომპანია, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 85 პროცენტზე მეტი უჭირავთ. საქმიანობისა და წევრობის არეალი მოიცავს საქართველოს რეგიონებსა და რაიონებს.

ძირითადი საქმიანობა:

- ✓ ფიზიკური პირი წევრების პროფესიული გადამზადება, სერტიფიცირება და განგრძობითი განათ-ლება; დისციპლინური მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე;
- ✓ კორპორაციული წევრების მომსახურების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა; აუდიტის ხარისხის წინასწარი დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება;
- ✓ წევრების საკონსულტაციო მომსახურება; პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სახელ-მძღვანელო და დამხმარე ლიტერატურით წევრების უზრუნველყოფა; პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

შვილობილი კომპანიები:

- ✓ შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი;
- ✓ შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა:

- ✓ საერთო კრება – გამგეობა –კომიტეტები - აღმასრულებელი სტრუქტურა – საკონსულტაციო საბჭო - სარევიზიო კომისია.

ფილიალები: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქართლი, კახეთი, ფოთი, რუსთავი.

კომიტეტები: წევრებთან ურთიერთობის კომიტეტი, განათლების კომიტეტი, სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი, აუდიტის ხარისხის კომიტეტი, საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტორულ ფირმებთან ურთიერთობის კომიტეტი, პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტი, ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან ურთიერთობის კომიტეტი.

საანგარიშო პერიოდამდე საქმიანობის შედეგები

ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით:

- ✓ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ (2012 წელი);
- ✓ დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ✓ ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- ✓ პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგა-რიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- ✓ დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონული ფედერაცია „ევრაზია“;
- ✓ ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- ✓ მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ✓ ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); აუდიტის მეთოდოლოგიის, აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2012-16 წელი);
- ✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- ✓ მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამით სერტიფიცირებულია 1300-ზე მეტი პირი;
- ✓ პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 800-მდე პირმა;
- ✓ მიმდინარე ეტაპზე პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 12,000 -მდე კანდიდატი.

აღიარება და რეპუტაცია:

- ✓ ბაფი 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში, კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ 2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი;
- ✓ 2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის ადაპტირებული ქართული პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას;
- ✓ 2008 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA -ის მიერ;
- ✓ 2012-2016 წლებში მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენდა პროფესიის მარეგულირებელ ორგანი-ზაციას და ახორციელებდა აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგს;
- ✓ 2016 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში და არის საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების განმახორციელებელი ერთადერთი საგამოცდო ცენტრი;
- ✓ მიმდინარე ეტაპზე, ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC); ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA); ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW); აგრეთვე - საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიურ სექტორთან;
- ✓ ბაფის სტაბილურობის, აღიარებისა და იმიჯის წყაროა გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა, პროფესიონალიზმი და მომსახურების მაღალი სტანდარტი, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი წევრებისა და პარტნიორების წვლილი.

2. გამგეობის საქმიანობა საანგარიშო (2024 წელი) პერიოდში

გამგეობის შემადგენლობა საანგარიშო პერიოდში: რუსუდან ჟორჟოლიანი (გამგეობის თავმჯდომარე), ქეთევან ყარაულაშვილი, ნიკოლოზ ჭაჭუა („დიდი ოთხეულის“ აუდიტორული კომპანიები); ნიკოლოზ ბაკაშვილი, კონსტანტინე დათიაშვილი, დავით პაპიაშვილი, მზევინარ გურაბანიძე, ლია გოგსაძე (აუდიტორული კომპანიები); ლევან საბაური (განათლების სექტორი); ნონა რევაზიშვილი, სალომე ოდიშარია (ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრები).

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ ჩაატარა 7 სხდომა. სხდომებზე, ძირითადად, განხილული იყო 2023 წლის საერთო კრების მიერ საანგარიშო პერიოდისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ღონისძიებები, კერძოდ:

ა. IFAC-ის წევრობის ვალდებულებებით გათვალისწინებული აქტივობები;

ბ. პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის განვითარების კუთხით, აქტიური ჩართულობა;

გ. წევრებთან საკომუნიკაციო საშუალებების დახვეწა, შეხვედრების გააქტიურება, განათლება და პროფესიული მხარდაჭერა;

დ. ბაფის ,,მმართველობისა და ხელმძღვანელობის დებულების“ შემუშავება და, საჭიროების შემთხვევაში, საერთო კრებისათვის წესდების ცვლილებების პროექტის წარდგენა.

საანგარიშო პერიოდის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

ა. IFAC-ის წევრობის ვალდებულებებით გათვალისწინებული აქტივობები

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა საქმიანი შეხვედრები ონლაინ ფორმატში, მათ შორის გამოვყოფთ:

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრების ჩართულობის სტრატეგიული პროგრამის წლიურ განხილვას, რომელიც მოიცავდა:
  - საქართველოში პროფესიულ ორგანიზაციებისა და ბუღალტრის პროფესიის განვითარების ტენდენციებსა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს (მათ შორის, სოციალური, ეკონომიკური, მარეგულირებელი და ა.შ.);
  - რა არის პროფესიული ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტები ამ მოვლენების კონტექსტში;
  - რა არის ორგანიზაციის მთავარი გამოწვევები ამ პრიორიტეტების მისაღწევად (მაგ., ოპერატიული რესურსები, ფინანსური სტაბილურობა, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, ნოუ-ჰაუ და ა.შ.) და რა იყო მთავარი წარმატებები;
  - ინიციატივები და დამატებითი მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროება პროფესიულ ორგანიზაციას.

დამატებითი მხარდაჭერის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ზედამხედველობის საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარებაზე, სამსახურის ინიციატივასთან (არასავალდებულო აუდიტის რეესტრში რეგისტრირებული კომპანიების მონი-ტორინგის დელეგირება პროფესიულ ორგანიზაციებზე) დაკავშირებით.

ბ. პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის განვითარების კუთხით ჩართულობა

საანგარიშო პერიოდში, ტრადიციულად, გრძელდებოდა თანამშრომლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, რაც, ძირითადად, მოიცავდა: სამსახურის მიერ მომზადებული ნორმატიული ბაზის ცვლილებების პროექტებზე ბაფის წევრთა მოსაზრებების განზოგადებას და შეჯერებული პოზიციის სამსახურისთვის მიწოდებას; პროფესიისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე ურთიერთთანამშრომლობას, კერძოდ:

- ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადებული სანქციის სახის/ოდენობის განსაზღვრისა და სანქციის დაკისრების წესის“ პროექტის განხილვა და მოსაზრებების მიწოდება სამსახურისთვის;
- სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების განხილვა;
- ,,ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესში“ ცვლილებების მომზადების აუცილებლობა;
- ზედამხედველობის სამსახურის მიერ არასავალდებულო აუდიტის მონიტორინგის ჩატარების უფლების დელეგირება პროფესიულ ორგანიზაციებზე:
  - მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის ჩარჩოს გან-საზღვრისა და კომპეტენციის მქონე ბუღალტერთა რეესტრის შექმნის კონცეფციის პროექტზე მსჯელობა;

- პროფესიის მიერ მომზადებული პროექტი "ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლებში ცვლილებების შესახებ, შემდეგი ფორმულირებით:

  მუხლი 10. მოთხოვნები პროფესიული ორგანიზაციის მიმართ - მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^1 პუნქტი:

  2^1. ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების ჩარჩოს განსაზღვრავს პროფესიული ორგანიზაცია.

  მუხლი 11. პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება - მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი პუნქტები:

  11. ამ კანონის მე-10 მუხლის 2^1პუნქტით განსაზღვრული ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების დადასტურებას ახორციელებენ ის პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

  12. პროფესიული კომპეტენციის მქონე ბუღალტრების რეესტრს აწარმოებს პროფესიული ორგანიზაცია. რეესტრში რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და მასში რეგისტრირებული პირები ექვემდებარებიან განგრძობით სწავლებას.

ცვლილებების პროექტის მომზადების საფუძველი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) ბუღალტერთა კომპეტენციის სფეროში არსებული გამოწვევები. კერძოდ, ამ სფეროში არ არსებობს ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების ერთიანი სტანდარტი, შესაბამისი სასწავლო პროგრამა და მსბ კომპეტენტურ/სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრი. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი გინიხილეს და მასზე წერილობითი მხარდაჭერა გამოხატეს დიდმა ოთხეულმა და ბიდიომ.

ბაფში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და პროექტზე მხარდაჭერის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილების ინიციირება ეთხოვა პროფესიის ზედამხედველობის სამსახურს. საანგარიშო პერიოდში, საკანონმდებლო ცვლილების ინიციირება არ მომხდარა.

გ. წევრებთან საკომუნიკაციო საშუალებების დახვეწა და შეხვედრების გააქტიურება, განათლება და პროფესიული მხარდაჭერა

საანგარიშო წელს დასრულდა ბაფის ვებგვერდის განახლება, დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაიზარდა წევრებთან სოციალური ქსელებით კომუნიკაცია. ბაფის წესდებისა და კომიტეტების სამოქმედო გეგმების შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობდა წევრთა ინფორმირება და საკონსულტაციო მომსახურებები, როგორც სატელეფონო, ასევე წერილობითი ფორმითა და ჟურნალის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" მეშვეობით.

კომიტეტების ჩართულობითა და აღმასრულებელი სტრუქტურის ორგანიზებით:

- პერმანენტულად ტარდებოდა თემატური სემინარები - ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის, საგადასახადო დაბეგვრის, პროფესიული ეთიკის და წევრებისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე;
- მოეწყო „ღია კარის" დღე ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისთვის;
- გაიმართა რეგიონული შეხვედრები პროფესიის წარმომადგენლებთან - ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში;
- რეგიონული შეხვედრებიდან გამოვყოფთ 2024 წლის 3 ოქტომბერს, ქალაქ ახალციხეში, ბიზნესისა და პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრას. აღნიშნულ შეხვედრაზე

დაფუძნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი. შეხვედრას ესწრებოდნენ ბაფის გამგეობისა და აღმასრულებელი სტრუქტურის ხელმძღვანელები, რეგიონის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ბუღალტრები, აუდიტორები და ფინანსისტები, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორიდან. შეხვედრის თემატიკა სხვადასხვა საკითხებს მოიცავდა, მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო ბიზნესისა და პროფესიის წარმომადგენელთა მოსაზრებების მოსმენა, მომავალ თანამშრომლობაში მათი გათვალისწინების მიზნით.

ფილიალის ხელმძღვანელად დაინიშნა ბაფის წევრი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი ვახტანგი თაქთაქიძე, რომელმაც ისაუბრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ: "ფილიალი იქნება შესაძლებლობა ადგილობრივი ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის, რათა განვითარდნენ პროფესიულად, საკუთარ საქმიანობაში გააუმჯობესონ ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხარისხი, მიიღონ მონაწილეობა "ბაფის" სასერტიფიკაციო პროგრამებში, დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები და გაცვალონ ცოდნა როგორც ადგილობრივ კოლეგებთან, ასევე, ქვეყნის მასშტაბით, დარგის მოწინავე პროფესიონალებთან. ფილიალის საქმიანობა ასევე ხელს შეუწყობს მეწარმეთა მხრიდან პროფესიონალი ბუღალტრებისადმი და აუდიტორებისადმი ნდობის გაზრდას".

წევრების სტატისტიკა 2024 წელს. საანგარიშო წელს ბაფის ფიზიკური პირი წევრების რეესტრიდან ამოღებული იყო - 411 პირი, მათ შორის, 6 ნამდვილი და 405 ასოცირებული წევრი; მიღებულ იქნა - 455 ასოცირებული წევრი; ნამდვილი წევრი გახდა 25 სერტიფიცირებული პირი.

ბაფის წევრების სტატისტიკა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ფიზიკური პირი - 5470 აქედან: ასოცირებული წევრი - 4731, ნამდვილი წევრი - პროფესიონალი ბუღალტერი/აუდიტორი - 739;
- კორპორაციული წევრი - 52 აუდიტური კომპანია.

განათლება და სერტიფიცირება

პროფესიული სერტიფიცირება. 2024 წელს ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო 565 ახალი კანდიდატი. გამოცდებზე გავიდა 895 კანდიდატი. გამოცდების შედეგების მიხედვით: პირველი ეტაპის სერტიფიკატი მიიღო - 44 კანდიდატი; მეორე დონის - 24 კანდიდატი; სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 25 კანდიდატს, მათ შორის 15 კანდიდატი სერტიფიცირებულია სრული პროგრამით, 7 - სერტიფიცირების (5 მოდული) პროგრამით, კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აღიარების სერტიფი-კატი მიიღო 3 პირმა.

განგრძობითი განათლება

2024 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლება განხორციელდა ორი პროგრამით:

პროგრამა - SARAS-CPD-020/24 აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირები; და

პროგრამა - SARAS-CPD-021/24 სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული (არააუდიტორი) პირები.

განგრძობითი განათლების სემინარები ჩატარდა 2024 წლის 30 სექტემბრიდან 11 დეკემბრის პერიოდში. განგრძობითი სწავლების სემინარები ჩატარდა ონლაინ ფორმატით. სემინარის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის თემატიკა და ჩატარებული სემინარები დადებითადაა შეფასებული.

2024 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლებას დაქვემდებარებული წევრებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების მოთხოვნების დადასტურების სტატისტიკა:

აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული ბაფის წევრი 331 პირიდან 2024 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 328 პირმა, მათ შორის:

- ბაფში განგრძობითი სწავლების სემინარი გაიარა - 296;
- აუდიტური კომპანიების განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 23;
- სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი სწავლების სემინარი ჩაეთვალა - 4;
- საანგარიშო პერიოდში განგრძობითი სწავლება არ მოეთხოვებოდა - 5;
- განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 3.

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული 408 პირიდან განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 282 პირმა, მ.შ. აუდიტორებისათვის დადგენილი პროგრამით (SARAS-CPD-020/24) 99 პირმა, ხოლო სერტიფიცირებული ბუღალტრების პროგრამით (SARAS-CPD-021/24) 183 პირმა. 2024 წლის განგრძობითი სწავლება არ მოეთხოვებოდა სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული 19 პირს. საანგარიშო წლის განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 107 პირმა.

განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების ბოლო 3 წლის განმავლობაში ვერდადასტურების გამო, საანგარიშგებო წელს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრიდან ამოღებულია 10 პირი.

თემატური სემინარები

ყოველწლიური თემატური სემინარების ფარგლებში, საანგარიშო წელს, წევრებისთვის ჩატარდა 7 სემინარი (ჯამურად 21 საათი). სემინარების თემატიკა:

- ფინანსურ ანგარიშგებაში წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (მსს ფასს-ის მიხედვით);
- ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება (მსს ფასს-ის მიხედვით);
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- ცვლილებები საგადასახადო კოდექსში; არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების დაბეგვრის არსებითი თავისებურებანი და საგადასახადო დეკლარირება და წარდგენა.

სხვა პროფესიული მხარდაჭერა

- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ფარგლებში, პროფესიაში არსებულ გამოწვევებზე, ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციასთან, ბუღალტერთა კლუბი/ფორუმთან, ბიზნეს-ასოციაციებთან, თბილისის სახელმწიფო უტივერსიტეტთან და აკადემიური სექტორის სხვა წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებით გამოვყოფთ: ერთობლივ მუშაობას და პოზიციების შეჯერებას კონცეფციაზე „მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ“; კონცეფციის ფარგლებში მომზადებულ პროგრამას/სილაბუსებს და სახელმძღვანელო ლიტერატურას.

დ. ბაფის „მმართველობისა და ხელმძღვანელობის დებულების“ შემუშავება, საერთო კრებისათვის წესდების ცვლილებების პროექტის წარდგენა.

ბაფის „მმართველობისა და ხელმძღვანელობის დებულება“

საყოველთაო პრაქტიკით, პროფესიული ორგანიზაციების მართვისა და ინსტიტუციური განვითარების უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ზოგადი მიდგომები, რომლის საფუძველზეც მიზანშეწონილია, შემუშავდეს ორგანიზაციის მართვის და ხელმძღვანელობის პრინციპები. წარმატებული ორგანიზაციები არა მარტო ადგენენ და იცავენ კარგი მმართველობის პრაქტიკას, არამედ ასევე, პერიოდულად, აფასებენ შედეგებს თავიანთი მართვის სისტემების უწყვეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მმართველობის უმაღლესი და ძირითადი ორგანოების დახმარებით განისაზღვრება პროფესიული ორგანიზაციის ამოცანები, მათი მიღწევის სტრატეგიები და მოწმდება მათი შესაბამისობა და შესრულება. ამ ორგანოებს ასევე აკისრიათ ორგანიზაციის, მისი წევრებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესაბამისად მოქმედების ფიდუციარული ვალდებულება. პროფესიული ორგანიზაციის მმართველობის უმაღლესი და ძირითადი ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტები მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს საქმიანობის ხელმძღვანელობის დელეგირების და უფლებამოსილების საკითხებს, რათა სტრატეგიული საქმიანობის რისკის სამართავად და ოპერაციული მიზნების მისაღწევად გამგეობის ინდივიდუალური წევრები, კომიტეტები, მენეჯმენტის პერსონალი უკეთ აცნობიერებდეს საკუთარ როლს, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ ბაფი არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული ორგანიზაცია და ანგარიშვალდებულია როგორც წევრების, ასევე საზოგადოების წინაშე, მას აქვს გამართული და ჯანსაღი მმართველობითი სისტემა და ანგარიშვალდებულების დაკისრების და პასუხისმგებლობების განაწილების/გამიჯვნის მკაფიო რეგულირება. აღნიშნულის მიუხედავად, მიზანშეწონილად ჩაითვალა ბაფის მმართველობისა და ხელმძღვანელობის დებულების შემუშავება. იგი ეფუძნება ბაფის წესდებას, შიდა ნორმატიულ დოკუმენტებსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციებს „საქმიანობაზე ფოკუსირება - პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის ეფექტური მართვის პრინციპები“.

დებულების მიზანია გამგეობის ცალკეული წევრების, კომიტეტებისა და მენეჯმენტის პერსონალის მიერ მათ უფლებამოსილებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გაცნობიერება. აგრეთვე, მმართველობისა და საქმიანობის ხელმძღვანელობის როლების მკაფიო გამიჯვნა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ბაფის გამგეობისა და მენეჯმენტის გუნდის წევრებმა. მმართველი ორგანოს (გამგეობა) და ხელმძღვანელი ორგანოს (მენეჯმენტი) გუნდის ყველა წევრი ვალდებულია, იცნობდეს და უპირობოდ იცავდეს: პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის ზოგად პრინციპებს, ბაფის მართვის სპეციფიკას და როლს პროფესიის განვითარებაში; საქართველოს საკანონმდებლო და სხვა, პროფესიის მარეგულირებელ ნორმებს; ბაფის წესდებას, შიდა მარეგულირებელ ნორმებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს; ბსფ-ის მოთხოვნებს წევრი ორგანიზაციებისადმი; ბაფის მმართველობისა და მენეჯმენტის ქცევის კოდექსს.

ბაფის საერთო (29-ე) კრება

2024 წლის 21 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საერთო კრება, რომელიც ჩატარდა ონლაინ ფორმატში. კრების დელეგატად დარეგისტრირებული იყო 371 წევრი. კრებას ესწრებოდა 237 დელეგატი. ბაფის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ,

ნიკოლოზ ბაკაშვილმა. ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თინათინ ღვინიფაძე (ანგარიში გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე). საერთო კრებამ კენჭი უყარა და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის საქმიანობა. კრების დელეგატებმა განიხილეს წესდებაში შესატანი ცვლილებები და მხარი დაუჭირეს მის დამტკიცებას.

გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევნები

საერთო კრებამ ბაფის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი **ლევან საბაური.** კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 207 -მა დელეგატმა (მომხრე-205; წინააღმდეგი - 2).

რადგან, ბაფის წესდებით, გამგეობის წევრების რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს 12 წევრით და მათ შორის ერთი არის გამგეობის თავმჯდომარე, ასარჩევი იყო გამგეობის 11 წევრი.

საერთო კრებაზე არჩეული გამგეობის წევრები და კენჭისყრის შედეგები. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 211-მა დელეგატმა. ხმათა უმრავლესობით არჩეული იქნა ბაფის გამგეობის ახალი შემადგენლობა სეგმენტების მიხედვით:

აკადემიური სექტორიდან: **ნადეჟდა კვატაშიძე** (156 ხმა).

ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების სეგმენტიდან: **ნონა რევაზიშვილი** (149 ხმა); **სალომე ოდიშარია** (151 ხმა).

დიდი ოთხეულის სეგმენტიდან: **ქეთევან ყარაულაშვილი** (148 ხმა); **ლელა მესაბლიშვილი** (154 ხმა).

აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორების სეგმენტიდან: **დავით პაპიაშვილი** (181 ხმა); **ნიკოლოზ ბაკაშვილი** (180 ხმა); **რუსუდან ჟორჟოლიანი** (177 ხმა); **კონსტანტინე დათიაშვილი** (172 ხმა); **ლია გოგსაძე** (171 ხმა); **მზევინარ გურაბანიძე** (155 ხმა).

სარევიზიო კომისიის არჩევნები. დღის წესრიგის შესაბამისად, დასახელდნენ სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატები. კომისიის წევრობის კანდიდატად დასახელებული იქნა 4 პირი, საიდანაც, წესდების შესაბამისად, დელეგატებს უნდა აერჩიათ 3 წევრი. ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 192-მა დელეგატმა. ხმათა უმრავლესობით არჩეული იქნა სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა: **თინათინ ღვინიფაძე** (156 ხმა; **ლალი კობიძე** (192 ხმა); **ია გოგოლაძე** (129 ხმა).

საერთო კრებამ, ბაფის ერთგულებისა და პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის, **საპატიო სიგელებით და ვიმპელებით დააჯილდოვა ბაფის წევრები:**

მიხეილ აბაიაძე; იზაბელა გუტიძე; ნინო თათელიძე; ნათელა კალანდაძე; ეკა ლაპიაშვილი; ნარგიზი ჩხიკვაძე; ნათელა ჭიაბერაშვილი; ნათელა ჭიღლაძე; თინათინ გუნია; ბერდო ხუციშვილი; ნინო ჩოგოვაძე; ლელა კუტივაძე; ზაზა გრიგალაშვილი; მზია გეგეჭკორი; ფატიმა ბერიძე.

საერთო კრებამ ბაფის **საპატიო წევრის სტატუსი** მიანიჭა:

ანა აბულაძეს - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაარსებიდან აქტიური წევრობის, მისი საქმიანობის პოპულარიზაციისა და რეგიონებში პროფესიის პრაქტიკულ განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის;

ზეინაბ გოგრიჭიანს, ანჟელი ხორავას - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაარსებიდან აქტიური თანამშრომლობის, მისი საქმიანობის პოპულარიზაციისა და ბუღალტერთა განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის,

3. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული/დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტები

✓ საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) ხელშეწყობა

2022 წლის ნოემბერში ბაფმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტთან (RSMEDP). მემორანდუმი ითვალისწინებდა გაუმჯობესებული ფინანსური საკონსულტაციო სერვისების მიწოდებას 5 რეგიონში (კახეთი, იმერეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო ზემო სვანეთი) მდებარე მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

მემორანდუმით თანამშრომლობა გათვალისწინებული იყო 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე პერიოდში. ამ პერიოდში, ბენეფიციარებთან (157 საწარმო) გაფორმებული იქნა საგრანტო ხელშეკრულებები მომსახურებისა და დაფინანსების გაცემის შესახებ. პროექტი სრულყოფილად დაასრულა 136 საწარმომ.

პროექტის ფარგლებში ბაფის საქმიანობა, დონორების მიერ, შეფასდა დადებითად და **2024 წლის 3 იანვარს გაფორმებული იქნა ახალი საგრანტო ხელშეკრულება, პროექტის გაგრძელებისა და გაფართოების შესახებ.**

2024 წელს პროექტის საერთო კაპიტალი, ექვსთვიან პერიოდზე, შეადგენდა 465,992 ლარს, მათ შორის ბაფის თანამონაწილეობა - 15802 ლარს, გრანტში მონაწილე საწარმოთა თანადაფინანსება - 190,000 ლარს, ხოლო უშუალო გრანტი - 260,190 ლარს.

ახალი ხელშეკრულებით საქართველოს რეგიონებიდან საქმიანობა გაიშალა რაიონულ ცენტრებში, ასევე გაიზარდა საწარმო-ბენეფიციართა ჩართულობის მონაცემები. სულ შესაბამის პერიოდში გაფორმებული იქნა 309 ხელშეკრულება სხვადასხვა საწარმოსთან გრანტით მომსახურების შესახებ. 2024 წლის 03 იანვრიდან 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით, პროექტი სრულყოფილად დაასრულა 303 საწარმომ, რაც ბენეფიციართა 98%-ს შეადგენს, პროექტის ძირითადი ბენეფიციარები იყვნენ მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები.

პროექტის მოქმედების არეალი და ბენეფიციართა რაოდენობა

აჭარა	ქობულეთი	ოზურგეთი	ჩოხატაური	ონი&ამბროლაური	ფოთი	იმერეთი	სამეგრელო - ზემო სვანეთი	გორი	კახეთი	თელავი
31	28	17	0	3	8	13	214	5	13	4

✓ მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) განვითარების ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლების გზით

საანგარიშო პერიოდის საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო „მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ“ პროექტის ფარგლებში გაწეული სამუშაოები, რომელმაც შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამის 2025 წლიდან ამოქმედების შესაძლებლობა. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში:

1. პროფესიულ ორგანიზაციებთან/გაერთიანებებთან, აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობით, შეიქმნა საგამოცდო მოდულების პროგრამისა და სილაბუსების შემმუშავებელი საბჭო;
2. საბჭოს მიერ განისაზღვრა მსბ ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების ჩარჩო/სტანდარტი;
3. შემუშავდა და დამტკიცდა მსბ ბუღალტერთა კომპეტენციის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამა და სილაბუსები;
4. გამოიცა პროგრამის სახელმძღვანელო ლიტერატურა;
5. მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი;
6. პროგრამის შესახებ ინფორმაცია გაშუქდა სოციალურ ქსელებში, პროფესიულ ჟურნალებში (ბუღალტრული აღრიცხვა, საგადასახადო და ბიზნესკანონმდებლობა 2023-2024 წლები);

2025 წლის მარტიდან დაგეგმილია:

- პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგებისა და საგამოცდო პროცესის დაწყება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის კომპეტენტურ/სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრის ამოქმედდება.

პროგრამა სრულად ეფუძნება ნებაყოფლობით პრინციპს და გამორიცხავს სავალდებულოობას. იგი გულისხმობს პირის თავისუფალ არჩევანს ბუღალტრის პროფესიული კომპეტენციის დადასტურების პროცესში მონაწილეობაში. ასევე, ნებაყოფლობითია პროფესიული კომპეტენციის ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრაცია.

4. საქმიანობის მართვა. ფინანსური შედეგები და ფუნქციონირებადობა

ბაფის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი სტრუქტურა, რომელიც ბაფს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვის სფეროში, ადგენს ბიუჯეტს და ახორციელებს ფინანსურ და ბიზნეს ფუნქციებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. სრულყოფილი მართვისა და ფუნქციების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ხელმძღვანელობს გამგეობის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით.

საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმებად შეიძლება განვიხილოთ:

- წევრების მხარდაჭერა - კონსულტაციები, პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სახელმძღვანელო ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ტრენინგების გზით;
- პროფესიის განვითარების მხარდაჭერა - ზედამხედველობის სამსახურთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების (SMO) შესრულება;
- ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და ფინანსური სტაბილურობა (ფუნქციონირებადობა).

2024 წელს მომზადდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, რომელიც, როგორც წესი, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გაიგზავნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში. საანგარიშგებო პერიოდისათვის დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა მოცემულია 2024 წლის ბიუჯეტში.

ეს მასალები გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

2025 წლის მეორე კვარტალში დასრულდება საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად განთავსდება ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშში, ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური საქმიანობის დეტალებს არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშგებო წელს განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან.

ბაფის ფინანსურ სტაბილურობას და ფუნქციონირებას, განჭვრეტად მომავალში, საფრთხე არ ემუქრება.

2025 წლის სამოქმედო პრიორიტეტები

როგორც წესი, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საერთო კრება განსაზღვრავს მომდევნო წლის სამოქმედო პრიორიტეტებს.

2024 წლის 21 დეკემბრის საერთო კრებაზე მიღებული სამოქმედო პრიორიტეტები 2025 წლისთვის:

- IFAC-ის წევრობის ვალდებულების მოთხოვნის შესაბამისად დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები;
- ზედამხედველობის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობა პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა-განვითარების სფეროში;
- პროფესიით დაინტერესებული მხარეებთან თანამშრომლობის გაფართოება;
- წევრებთან ურთიერთობისა და სერვისების შეთავაზების სრულყოფა-გაფართოება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის ამოქმედება, შესაბამისი რეესტრის შექმნა.

აღმასრულებელი დირექტორი: **ლავრენტი ჭუმბურიძე**